ოთარ ჯანელიძე*

ვაჟა კეშელავა საქართველოს ფედერალური მოწყობის შესახებ

1991 წელს ხელახლა აღდგენილი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესი რთულად და მტკივნეულად მიმდინარეობს. განვლილი სულ რაღაც სამი ათწლეულის მანძილზე საქართველომ პოლიტიკური არასტაბილურობის, ეკონომიკური კრიზისის, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებისა და საგარეო ომის უმძიმესი პერიოდები გამოიარა. ბუნებრივია, ამან თავისი დაღი დაასვა და შეაფერხა ქვეყნის განვითარება. დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი.

ის ფაქტი, რომ საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია აქვს რუსეთის ფედერაციას და მასზე სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ვერ ვრცელდება, აფერხებს ტერიტორიული მოწყობასაც. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი ჯერ-ჯერობით ვერ ხორციელდება, თუმცა კონსტიტუციის მიხედვით, იგი „გადაისინჯება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7.3. http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68). ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა ის მოცემულობა, რომელიც განაპირობებს საქართველოს კონსტიტუციის რიგი ნორმების ამოქმედებას.

---

* ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ქვეყნის ბედზე, მის დღევანდელობასა და მომავალზე მოფიქრალ ადამიანებს, ცხადია, აწუხებთ არსებული გაურკვევლობა. ისინი დაეძებენ გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან, იმუშავებენ პროექტებს და გამოთქვამენ სხვადასხვა თვალსაზრისს ამ გამოწვევის დასაძლევად, მაგრამ საქმე ამას იქით ვეღარ მიდის.

ერთ-ერთი ასეთი თვალსაზრი გახლავთ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოდელის აგება ფედერალიზმის პრინციპებზე. საზოგადოდ ცნობილია, რომ სახელმწიფოს ფედერალურ საფუძველზე მოწყობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, მათ შორის: ტერიტორიული სიდიდე, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ეთნიკური თავისებურებები, ისტორიული ტრადიციები და სხვ. საქართველოს სინამდვილეში არც ერთი ეს ფაქტორი უნიტარიზმის ფედერაციით შეცვლას არ გვაიძულებს. მაშ, რამ გამოიწვია ფედერალიზმის თემის გააქტიურება, რატომ დაისვა იგი საერთოდ დღის წესრიგში?

ფედერალიზმზე მსჯელობის აუცილებლობა წარმოშვა აფხაზეთის საკითხის გადაუწყვეტლობამ და მისმა სიმწვავემ. ქართული აკადემიური წრეებისა თუ პოლიტიკოსთა ერთ ნაწილში ფედერალიზმი ამ რთული პრობლემის შედარებით უმტკივნეულოდ მოგვარების გზად და საშუალებად დაისახა. იმათ შორის, ვინც ამ იდეას იზიარებდა და მხარს უჭერდა, იყო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, იმხანად პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვაჟა კეშელავა. იგი ამ თემაზე ბევრს ფიქრობდა, კითხულობდა და წერდა კიდეც. მით უფრო, რომ თავად წარმოშობით აფხაზეთიდან იყო და ტკივილამდე განიცდიდა მშობლიური კუთხის ერთიანი საქართველოსაგან მოწყვეტას. წინამდებარე სტატიაში შევეცდები გადმოვცე პროფესორ ვაჟა კეშელავას ნააზრევი სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის საკითხზე.

1999 წლის აპრილის ბოლოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრისა და მაშინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობის პრობლემებზე მსჯელობას. ეს საკითხი აქტუალური იყო იმ დროს და აქტუალურია დღესაც, რადგან ჩვენს კონსტიტუციაში არ არის დაკონკრეტებული საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის მოდელი.

ფედერალიზმს ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი უარყოფითად აფასებს და მას სახელმწიფოს დამანგრეველ ფორმად მიიჩნევს. ექსპერტთა დაკვირვებითა და შეფასებით, „ჩვენი პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების დიდი ნაწილი „უნიტარისტია“. მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ფედერალური მოწყობა ხელს შეუწყობს სეპარატისტული განწყობილების ზრდას ცალკეულ მხარეებში, რის ისტორიულ მაგალითად იშველიებენ „სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ“ დაქუცმაცებულ საქართველოს, ხოლო თანამედროვე პირობებში მემკვიდრეობით გადმოცემული ავტონომიური წარმონაქმნების ცენტრიდან განდგომის აშკარად გამოკვეთილ ტენდენციას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ქართული სახელმწიფო უნიტარიზმის პრინციპის გარეშე განწირულია მარცხისათვის. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი იქნება ისეთი სუსტი ქვეყანა, რომელიც პასუხს ვერ გასცემს ვერც შინაურ და ვერც გარეშე მტრებს. მათი აზრით, „ქვეყნის უშიშროებას და სტაბილურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას მხოლოდ უნიტარიზმი და მასზე დაფუძნებული ქვეყნის მკაცრი ცენტრალიზებული მართვა-გამგეობა უზრუნველყოფს“ (თ. ჩითინაშვილი, უნიტარიზმი VS ფედერალიზმი, „CIVICUS“, N 13, ივნისი, 2017, გვ. 21-22).

აქედან გამომდინარე, კონფერენციის ამოცანად დასახული იყო მსჯელობა უნიტარიზმისა და ფედერალიზმის ავკარგზე, მათი

ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, მომხრეთა და მოწინააღმ-დეგეთა ანუ „თანხმობისა“ (Pro) და „უთანხმოების“ (Contra) არგუ-მენტების წარმოჩენა. სხვათა შორის, კრებულსაც ასე ჰქვია – ,,პრო ი კონტრა“, რომელშიც დაბეჭდიალია ამ კონფერენციის მასალები (სა-ქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები: PRO ET CONTRA, თბ., 1999). დისკუსიაში ჩართული იყვნენ სამეცნიერო წრეების წარ-მომადგენლები - ისტორიკოსები, იურისტები, ეკონომისტები, ფი-ლოსოფოსები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, დემოგრაფები, ასევე პოლიტიკოსები.

პროფესორ ვაჟა კეშელავას მოხსენება განსახილველ საკითხზე შეტანილია ამ კრებულში, რომლის ერთ-ერთი გამომცემელი თვი-თონაც იყო, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პო-ლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. გარდა ამისა, ცოტა მოგ-ვიანებით, კერძოდ, 2002 წელს, მან იმავე თემაზე, პოლიტოლოგიის ინსტიტუტის კრებულში – ,,წელიწდეული“ რუსულ ენაზე ვრცელი სტატიაც გამოაქვეყნა. ამ მასალების საფუძველზე გავეცნოთ ბატონ ვაჟას თვალსაზრისს.

,,საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები“, – ასეთი სათაური აქვს კონფერენციის ხსენებულ კრებულში შეტანილ პროფ. ვაჟა კეშელავას ტექსტს, რომელიც ერთგვარი შესავალიცაა, სადაც განმარტებულია, რომ მსგავსი დისკუსიის ჩატარება უფრო ადრეც ყოფილა განზრახული, მაგრამ მონაწილენი ფსიქოლოგიურად იმ-დენად მოუმზადებელი ყოფილან ასეთ მწვავე საკითხზე სასაუბ-როდ, რომ კონფერენცია ერთი წლის დაგვიანებით გაუმართავთ. ინერცია გვაკავებდა, რომ თავიდან აგვეცილებინა არასასურველი იარლიყები, რომელთა მოკერება ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო არ გახლავთო.

ბატონი ვაჟას სიტყვით ,,საქართველოს ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობის ლიდერთა მოწოდებებში, სახელმწიფოებ-რივი დამოუკიდებლობა უპირობოდ დეკლარირებული იყო მხო-

ლოდ და მხოლოდ როგორც უნიტარული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ...მძიმე მოგონებები საბჭოთა ფედერალიზმზე, რომელიც სინამდვილეში მოჩვენებითი იყო, განაპირობებდა შიშს საქართველოს ფედერალიზაციის პროექტის მიმართ და მის მიუღებლობას. ფედერალიზაციას თითქმის უთანაბრებდენ სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმას, ან აფასებენ როგორც სახელმწიფოსათვის მომაკვდინებელ სიმპტომს. ხოლო უნიტარული მოწყობა, პირიქით, განიხილება, როგორც სახელმწიფოს სიჯანსაღის ნიშანი."

მოხსენებაში განვითარებულია ერთი საგულისხმო დაკვირვება, რომელიც ორიგინალურია და სხვაგან არც შემხვედრია. აღნიშნულია, რომ ,,აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები, როდესაც ცდილობენ დაამტკიცონ თანმედროვე აფხაზეთის სუვერენული რესპუბლიკის არსებობის საფუძვლიანობა, იმოწმებენ თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს 12 თუ 15 საუკუნოვან ისტორიას! მათთან პოლემიკის დროს არასაკმარისი ყურადღება ექცევა იმას, რომ სეპარატისტთა კონცეფცია საეჭვოცაა და გაზვიადებულია ეთნიკური ელემენტის როლი სახელმწიფოს წარმოშობაში. ,,მათ სწამთ, თითქოს აფხაზეთის სახელმწიფო ეთნიკურად ჰომოგენური შემადგენლობის იქნებოდა და უნდა ყოფილიყო მხოლოდ აფხაზების სახელმწიფო. ..მაგრამ სახელმწიფო არ არის არც გვაროვნულ-ტომობრივი და არც წმინდა ეთნიკური წარმონაქმნი.

ბატონი ვაჟა ქართველი ისტორიკოსების იმ ნაწილსაც აკრიტიკებს, რომელიც მიიჩნევს, რომ ,,აფხაზები ეთნიკური ქართველები არიან, რომ აფხაზეთის სამეფო - ეს აფხაზების სამეფო კი არა, არამედ თავიდან ბოლომდე მხოლოდ ქართველების სამეფო იყო, რადგანაც აფხაზები იგივე ქართველები არიან!"

სინამდვილეში ქართული სახელმწიფო ყალიბდებოდა აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა სამთავროების გაერთიანებული პოლიტიკური ძალისხმევის შედეგად და რომ „ეს სახელმწიფო იყო საერთო ისტორიული პროცესის განვითარების სხვადას-

ხვა საფეხური და წარმოადგენდა ერთიანი სუბსტანციის თვითგანვითარების სხვადასხვა ეტაპს, რაც ისტორიოგრაფიაში ცნობილია ქართული სახელმწიფოებრიობის სახელით.“

შემდეგ პროფესორი ვაჟა კეშელავა საუბრობს უნიტარული სახელმწიფოს ისეთ ტიპზე, როგორიც იყო სსრ კავშირი და ხაზს უსვამს, რომ თავისმა ცენტრალიზმმა და უნიტარიზმმა იგი დაშლას ვერ გადაარჩინა. ,,მეორეს მხრივ, არსებობს დემოკრატიული დეცენტრალიზებული უნიტარული ან პირდაპირ ფედერაციული სახელმწიფოები, რომელთა ძლიერი ხელისუფლება ემყარება კანონის უზენაესობას და მის მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობას. უნიტარული სახელმწიფო არ ნიშნავს აუცილებლად ძლიერ ხელისუფლებას, ისევე, როგორც ფედერაციული არ ნიშნავს სუსტს.

ისტორიის გამოცდილებამ უნდა გვასწავლოსო, – დასძენდა ავტორი, რომ ვიყოთ კრიტიკული უნიტარული სახელმწიფოს შესაძლებლობათა შეფასებისას და ლოიალურები ფედერალიზმის იდეის მიმართ. ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ უნიტარულ სახელმწიფოში არსებობს საშიშროება იმისა, რომ საზოგადოება იყოს ზედმეტად შებოჭილი ტოტალიტარიზმის კორსეტით, მაშინ როცა ფედერალიზმის დროს ამგვარი დაშვება აპრიორულად გამორიცხულია.

მომდევნო ნაწილი ეთმობა ფედერაციის პოლიტიკურ მიზანშეწონილობას საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში. ,,საქართველოს სხვა გზა არა აქვს, გარდა ამისა, რომ შეიცვალოს თვითონ ცვალებად სამყაროსთან ერთად. ძველის ჩაბღაუჭება და იმის იმედი, რომ ისტორიას მოატყუებ, ისევე შეუძლებელია, როგორც ერბოკვერცხის მომზადება კვერცხის გაუტეხავად,“ - ვკითხულობთ მოხსენებაში.

ბატონი ვაჟა მიიჩნევდა, რომ საქართველოსათვის ფედერალიზმი არ იყო უცხო და საბუთად მოჰყავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით აფხაზეთი-

სათვის ავტონომიის მინიჭების ფაქტი. შემდეგ კი მუთითებდა, რომ მხოლოდ წარსულის მოხმობა არგუმენტად არ არის საკმარისი. გაგაცნობთ ციტატას: ,,დისკუსიის დროს ფედერალიზმის მოწინააღმდეგეები იმისათვის, რომ თავიანთი პოზიცია მყარი გახადონ, ხშირად მიმართავენ ისტორიას; ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საქართველო ჩამოყალიბდა როგორც უნიტარული სახელმწიფო და ამაში ხედავენ იმის გარანტიას, რომ მან დღევანდლამდე მოაღწია, მაშინ როცა მსხვილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები უკვალოდ გაქრნენ. ძნელია არ მოექცე ისტორიული ფაქტების ჰიპნოზის ქვეშ. ამასთან, არ შეიძლება დარჩე მის ტყვეობაში და ქვეყნის მოწყობის საქმეში არგუმენტად გამოიყენო მხოლოდ წარსულის მაგალითი. ცუდად დავამთავრებთ, თუ წინსვლის დროს გამუდმებით უკან დავიწყებთ ყურებას. არ იქნებოდა ისტორია, რომ ძველს არ ენაცვლებოდეს ახალი, ...ისტორიიდან გამორიცხო ახლის პრეცედენტი იგივეა, რაც ისტორიის უარყოფა. თუ აქამდე სოციალური პროგრესისათვის სახელმწიფოს უნიტარული ფორმა უფრო პასუხობდა ისტორიულ პირობებს, ...ახლა, სამოქალაქო საზოგადოების საზღვრების გაფართოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების შესაბამისად ფედერალიზმის იდეის პოპულარობა, ალბათ, გაიზრდება“.

დასასრულს მეცნიერ დასძენდა: ,,კარგად მესმის, რამდენად სახიფათოა შორს მიმავალი პროგნოზები. და თუ გავბედე ამის გაკეთება, მხოლოდ იმ მოკრძალებული მიზნით, რომ ნათლად გადმომეცა პოზიტიური დამოკიდებულება საქართველოს ფედერალიზაციის იდეისადმი, რომლის რეალიზაციაც საშუალებას მოგვცემს ნელ-ნელა გამოვიდეთ კრიზისიდან და აღვადგინოთ სახელმწიფოს მთლიანობა და ერთიანობა.“

2002 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული სტატია პროფესორ ვაჟა კეშელავას ასე აქვს დასათაურებული: „ფედერალიზმის იდეა ქართული სამეცნიერო აზრისა და მასობრივი ცნობიერების

კოორდინატებში.“ კრებულის 20 გვერდის შემცველი ტექსტი 5 ქვეთავად თუ პარაგრაფადაა დაყოფილი: 1. ნაბიჯები პოლიტიკური რეალიზმისაკენ; 2. ერთი მედლის ორი მხარე; 3. სტერეოტიპებიდან გამოყენებით პროექტებამდე; 4. „ერთობა მრავალფეროვნებაში“; და 5. დავის საგანი დაზუსტებას საჭიროებს.

სტატიის დასაწყისში ავტორი სინანულს გამოთქვამს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი კვლავ გადაუჭრელია და მიტოვებულია „უკეთესი დროის დადგომამდე.“ სტატიის კვინტენსენცია ასეთია: თანამედროვე საქართველოს ერთი მხრივ არ შეუძლია დარჩეს უნიტარულ სახელმწიფოდ და მეორე მხრივ, არ ჩქარობს გახდეს ფედერაციული.

კონფლიქტებისა და სეპარატიზმის ფონზე მასობრივი ცნობიერებაში ქვეყნის ფედერაციული მოწყობის გეგმები არაპოპულარულია და დეცენტრალიზაციის პროცესი უარყოფითად აღიქმება. რაც შეეხება სამეცნიერო წრეებს, ამ საკითხზე დიდი თავშეკავებისა და ერთიანი აზრის არ არსებობის მიუხედავად, თანდათან ფეხს იკიდებს ფედერაციის აღიარების ტენდენცია, როგორც ერთიანი საქართველოს რეინტეგრაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეფექტური საშუალება.

ბატონი ვაჟა მართებულად შენიშნავდა, რომ აფხაზეთის ლიდერის ვ. არძინბას წინადადებას „საერთო სახელმწიფოს“ შესახებ პროპაგანდისტული მიზანდასახულობა ქონდა და იგი ფედერალიზმის სამოსში შემოპარებული კონფედერაციაა. ოფიციალური თბილისი მას არ თანხმდება და აფხაზეთს სთავაზობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ყველაზე მაღალი სტანდარტების შესაბამის ავტონომიას მაქსიმალურად ფართო უფლებამოსილებით. მაგრამ სოხუმს არ ჯერა, რომ ეს დანაპირები პრაქტიკაში არ დავიწროვდება და არ დავა რეგიონის ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებამდე. ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთ გზად პროფესორი ვაჟა კეშელავა ფედერაციას მიიჩნევს.

თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად მეცნიერი თვალს ავლებს წარსულს და შენიშნავს, რომ ფედერაციულ კავშირებს ანტიკურ სამყაროში უფრო ძველი ისტორია აქვთ, ვიდრე ხელისუფლების დანაწილებას და რომ ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მაგალითად იშველიებს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მოღვაწეობას მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში. შემდეგ ბატონი ვაჟა იხსენებს, როგორი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში 1997 წელს გამოცემულმა ჯანრი კაშიას წიგნმა „თავისუფლება და ფედერალიზმი“ და მკითხველს შეახსენებს ზემოთ, ჩემს მიერ არაერთგზის ხსენებულ კონფერენციას და საუბრობს მის მნიშვნელობაზე.

განსაკუთრებით გამოყოფილია იურისტის, პროფესორ გია ხუბუას მონოგრაფია „ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი“, რომლის წარდგენა და განხილვა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ინიციატივით 2000 წელს გაიმართა.

ბატონი ვაჟა ფედერაციული სახელმწიფოს უპირატესობად მიიჩნევს იმას, რომ მასში თეორიულადაც კი გამორიცხულია უნიტარული ქვეყნებისთვის არც თუ უჩვეულო ავტორიტარიზმისა და ხელისუფლების უზურპაციის რისკები. საილუსტრაციოდ ასახელებს გერმანიას, რომელმაც დიქტატურასა და ფაშიზმის შავ ჭირს თავი სწორედ ფედერაციით დააღწია. ფედერალიზმს ხელი არ შეუშლია გერმანიის არც ეკონომიკური აღორძინებისა და არც გერმანელი ხალხის ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი გაწმენდა-შეკავშირებისათვის. პირიქით, ეს უმოკლეს დროში ძალიან წარმატებულად მოხერხდა.

საუბრობს რა ფედერალიზმის დადებით მხარეებზე, პროფესორი ვაჟა კეშელავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი თავისთავად პანაცეა არ არის და საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ძალებს მართებთ შეიმუშაონ ქვეყნის ფედერალური მოწყობის კონკრეტული მოდელები, რომლებშიც მკაფიოდ იქნება გამოკვეთი-

ლი ფედერაციის სუბიექტების უფლება-მოვალეობანი, ბიუჯეტის ფორმირების წესი და ა. შ. იქვე მიუთითებს, რომ ამ მხრივაც საქმე წინ დაიძრა და ასახელებს იმხანად დაბეჭდილ ლადო პაპავას წიგნს „საგადასახადო ფედერალიზმი."

პრობლემის აქტუალობის ზრდა ცხადყოფს, რომ საკითხით პოლიტიკოსთა გარდა, აკადემიური წრეები და არასამთავრობო სექტორიც დაინტერესდა და მოყვანილია ამ მიმართებით მათი ძალისხმევის მაგალითები. მთლიანობაში ბატონი ვაჟა კეშელავას დასკვნა განსახილველ საკითხზე ასეთი იყო: „სრულფასოვან ფედერალიზმს - ამ მართლაც ერთობას მრავალფეროვნებაში, განათებულს დემოკრატიული კანონებით, თანაბარი ალტერნატივა არა აქვს."

Otar Janelidze

Vazha Keshelava on the Georgia federal structure

Summary

The article discusses several works of V. Keshelava on the territorial organization of the Georgian state. In these publications V. Keshelava supported the idea of the Georgia federal structure and considered it as a way out of the conflicts.